ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 60 (20706) ხუთშაბათი, 15 მარტი, 1990 წელი. ფასი 8 კაპ.

თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „ომაკავშირელის“ კოლექტივმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა შარშანდელი წელიწადი. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 109,2 პროცენტი შეადგინა, მოწოდების გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულეს.

აქაური მშრომელებს არც წლიულს შეურცხვენიათ თავი, მომხმარებელს გეგმის გადაჭარბებით 2 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს. წლიულს აქ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ასორტიმენტის განახლებას მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად.

სურათზე: მკერავი მაია კაპანაძე.
თეიდო ნიკოლაიშვილის ფოტო.

დემოკრატიის გაღრმავების გზით

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობა

სახალხოთა კავშირში დაწესდა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი. ასე გადაწყვიტა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ 13 მარტის საღამოს სხდომაზე.

აი როგორ იყო ეს.

დილით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები შეთანხმდნენ განეგრძოთ სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების საკითხის განხილვა.

დისკუსიის დაწყების წინ ერთ-ერთი დეპუტატის წინადადებით თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** ყრილობას წინასწარი მონაცემების საფუძველზე გააცნო ლიტვაში შექმნილი სიტუაცია. ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ლიტვაში 1938 წლის ბურჟუაზიული კონსტიტუციის აღდგენის შესახებ არაუფლებამოსილი უწოდა. წაითხეს ყრილობის მისამართით ლიტვიდან გამოგზავნილი ერთ-ერთი დეპეშა, **რომელშიც** ვილნიუსის ოლქმბრის რაიონის პარტიული აქტივის სახელით გამოცხადებულია პროტესტი და არ ეთანხმებიან ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს „როგორც ხალხის საწინააღმდეგოს, რომლებიც არ გამოხატავენ რესპუბლიკის ყველა მცხოვრების ინტერესებს“.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ შექმნილ სიტუაციაში საქართველო აქტიური მოქმედება. შესაბამისი მუშაობა დაწყებულია: ყრილობის დავალების თანახმად — მთავრობის, უზენაესი საბჭოს ხაზით. ყრილობის დამთავრებისთანავე საკითხი უნდა გამოიტანონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე. მ. ს. გორბაჩოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ლიტველი ამხანაგები — ხოლო მათ შეიერთდნენ ესტონეთის და ლატვიის წარმომადგენლებიც — წინადადების იძულებიან აწარმოონ მათთან მოლაპარაკება. ვფიქრობ, თქვა მან, არავითარი მოლაპარაკება არ იქნება: მოლაპარაკებას ვაწარმოებთ უცხოეთის სახელმწიფოებთან... ამ სიტყვებს ყრილობა ტაშით შეხვდა. მთელი სიტუაციის გარკვევამდე, უზენაესი საბჭოს, ეროვნებათა საბჭოსა და მთავრობის ფრაგლებში, თქვა შემდეგ თავმჯდომარემ, შეფასებების გამოტანამდე ისე ვიმუშაებთ, როგორც ემუშაობდით, და მივესალმებით, რომ ყველა რესპუბლიკის, მათ შორის ლიტვის დეპუტატები აქ, ყრილობაზე არიან.

დილის სხდომაზე კამათში პირველი გამოვიდა დეპუტატი **ო. ხოჯაევი.** მან თქვა: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაყოფით, ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ კოორდინაციის, მათი მოქმედების შეთანხმების მექანიზმი. გარდა ამისა, დგება ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციისა და საგანგებო სიტუაციათა სწრაფი გადაწყვეტის გადაუდებელი მოთხოვნილება. ყოველივე ეს, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა, სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებია, რომლებიც დღემდე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ეკუთვნოდა, რომლის საქმიანობის გამოცდილება უკანასკნელ ხანს მოწმობს, რომ არაეფექტიანია გადაწყვეტილებათა მიღების კოლეგიური მეთოდი, როცა ისინი ოპერატიულად უნდა იყოს მიღებული.

პრინციპულად მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურის პირდაპირი საყოველთაო-სახალხო არჩევნების იდეას, თურქმენეთის კომპარტიის ტაშაზის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამავე დროს განაცხადა, დაუყოვნებლივ უნდა ავირჩიოთო პრეზიდენტი ყრილობაზე. ამ პოსტის ერთადერთ რეალურ კანდიდატურად მას მ. ს. გორბაჩოვი მიაჩნია.

პრეზიდენტის ხელისუფლება. ზოგიერთს იგი ერთადერთ იმედად მიაჩნია, ზოგიერთის კი შეშფოთებას იწვევს. როგორც დეპუტატმა **ა. ა. ალტუნიანმა** თქვა, გადაწყვეტილება უნდა იყოს კომპარომისული, ყველასათვის მისაღები. ამავე დროს მან ყურადღება მიაპყრო, მისი აზრით, შემოთავაზებული კანონის პროექტის ბაზაზე პარადოქსებს. მასში შეგნებულად არის გართულებული ხელისუფლების ორგანიზაცია. უკვე არსებობს ორი საკანონმდებლო ორგანო — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და უზენაესი საბჭო. თუ სახელმწიფო მეთაურისა და პარლამენტის სპიკერის უფლებამოსილებებს გავყოფთ, გვეყოლება ორი უმაღლესი პირი — სსრ კავშირის პრეზიდენტი და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. პირველთან იმოქმედებს ორი საბჭო, მეორესთან — პრეზიდიუმი. სარედაქციო კომისიამ უნდა დაამუშაოს ამ რთული სისტემის გამარტივების სხვადასხვა ვარიანტი.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ კანონის მიღების დროს უნდა გავითვალისწინოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმა პარტიის XXVIII ყრილობისათვის.

დეპუტატმა თქვა, რომ ნაჩქარევად სთავაზობენ კანონს მიღებას.

ლატვიის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია რესპუბლიკის კონკრეტული პოზიცია.

გამოსვლის დაწყებისას დეპუტატმა **ა. ა. კორშუნოვმა** დამსწრეთ გაუზიარა თავისი ეჭვები და დასვა რამდენიმე კითხვა: სჭირდება თუ არა ჩვენს ქვეყანას პრეზიდენტის ინსტიტუტი? განა საკმარისი არ არის ჩვენს ისტორიაში, მათ შორის უახლეს ისტორიაშიც, თუ რამდენი მაგალითი იყო, როცა აბსოლუტამდე მიყვანილ ერთი ადამიანის ხელისუფლებას მოსდევდა დიქტატი - აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. კონკრეტულ ადამიანთა და მთლიანად სახელმწიფოს უბედურება? ხომ არ არის პრეზიდენტის ხელისუფლების იდეა უკან გადადგმული ნაბიჯი, ხომ არ მოპყვება ამას უძრაობის ან კიდევ უფრო უარესი დრო?

ამ კითხვებზე მსჯელობისას ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი საზოგადოების დემოკრატიზაციის, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების კურსის თანამიმდევრული განგრძობაა.

ორატორის აზრით, სახელმწიფოში უნდა იყოს კონკრეტული ადამიანი, რომელსაც მოეკითხება და რომელიც ვალდებული იქნება მიიღოს გადაწყვეტილებანი მთელი ქვეყნის თვალწინ. აქ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი. ამ პოსტზე დეპუტატს სოჭს იხილოს მ. ს. გორბაჩოვი. იგი გამოვიდა ძველი აპარატის წიაღიდან, რომელიც ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა, მაგრამ თავის თავში პოვა ძალა გაეღაჩრა ქვეყნის მმართველობის სახელგატეხილი ფორმების წინააღმდეგ.

პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და ახლადფელ ყრილობაზე მისი არჩევის სასარგებლოდ არგუმენტები გამოთქვა დეპუტატმა **ა. აკაევმა.** ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა ყრილობაზე უკვე გამოთქმულ აზრს, რომ ავტორიტარულ ხელისუფლებად პრეზიდენტის ხელისუფლების გადაზრდის საწინააღმდეგო, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენობისა და უფლებების დაცვის გარანტიები უფრო ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

ძირითადად პოზიციურად შეაფასა რა წარმოდგენილი კანონპროექტი, ორატორმა გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები. მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს ცალკეულ ადგილებში შესაბამისი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აუცილებელი თანხმობით. მისი აზრით, საჭიროა შემდგომში ქვეყანაში დაწესდეს ვიცეპრეზიდენტის პოსტი.

შეეხო რა პირველი პრეზიდენტის არჩევის პროცედურას და დაასახელა კონკრეტულად ამ პოსტზე მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურა, ორატორმა თქვა, რომ ახლანდელი ყრილობა ამისათვის ამომრჩეველთა საკმარისად წარმომადგენლობითი კოლეგიაა.

მე დავალებული მაქვს გამოვიდე ლიტვის სახალხო დეპუტატთა და ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით, თქვა დეპუტატმა **ვ. ვ. ანტანავიჩუსმა.** ლიტვის დელეგაციას საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოში არაერთგზის დაუსვამს საკითხი დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ლიტვას შორის ლიტვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. ჩვენ კი გვთავაზობენ საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გამოსვლის მექანიზმის განხილვას. ასეთი მექანიზმი ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ლატვა, განაცხადა ორატორმა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანილი იყო სტალინური თვითნებობის ძალით.

ვილნიუსში, განაცხადა დეპუტატმა, შესაბ ადგა დღეა მომდინარეობს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია. მან სახალხო დეპუტატთა ყრილობის მონაწილეებს გაიცნო ამ სესიაზე მიღებული ზოგიერთი დოკუმენტის შინაარსი.

ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის კათედრის გამგეგმ წაიკითხა განცხადება, რომელიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს ლიტვისაგან არა აქვთ უფლებამოსილება მოხაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის პრეზიდენტის სტატუსის შესახებ კანონების მიღებასა და პრეზიდენტის არჩევნებში. მან განაცხადა, რომ ლიტვის დელეგაციის წევრები ყრილობას ესწრებიან მხოლოდ, როგორც მეთვალყურეები.

ორატორმა ყრილობას სთხოვა ხელი შეუწყოს იმას, რომ დაიწყოს ორმხრივი მოლაპარაკება ლიტვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. ჩვენ, განაცხადა მან, გვინდა გვქონდეს საბჭოთა კავშირის ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ეკონომიკური კავშირი, კულტურული, სამეცნიერო, ეკოლოგიური და სხვა კავშირურთიერთობანი.

ჩვენ, თქვა დეპუტატმა **ხ. გ. არუთინიანმა,** ვდგავართ არჩევნების წინაშე: ან გამოვალთ მზარდი კრიზისიდან ცივილიზებული, დემოკრატიული გზით, ანდა საზოგადოებას ანარქიისა და ქაოსის ჭაობი ჩაითრევს. საჭიროა არა მარტო კარგი კანონები, არამედ სახელმწიფო მექანიზმებიც ამ კანონების ხორცშესასხმელად. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაფუძნება საკვანძო ეტაპია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე, რომელშიც ორგანულად იქნება შეკავშირებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებანი.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა წინადადება წამოაყენა განსახილველი დოკუმენტის შესაბამის მუხლში შეიტანონ დებულება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებული იყოს პოსტიდან თავისი მოვალეობების არასათანადო შესრულების შემთხვევებშიც. საშიშია უხელისუფლებიანობით წარმოშობილი კრიზისი. მაგალითად ორატორმა დაასახელა სომხეთში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამის ფაქტობრივი ჩაშლა. კარგ გეგმებს პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია.

დეპუტატმა დიდი ყურადღება დაუთმო მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცების პრობლემებს და, კერძოდ, წინადადება წამოაყენა გაიზარდოს ფედერაციის საბჭოს სამართლებრივი სტატუსი.

მრავალი ჩვენგანი, შენიშნა დეპუტატმა **ნ. ტ. დაბიჟამ** (ჩობანუ), ამ დარბაზში მიხეილ სერგის ძის წყალობით იმყოფება. ახლა კი დადგა ჯერი დავიცვათ გორბაჩოვი... გორბაჩოვისაგან. ერთი კაცის ხელში უზარმაზარი ძალაუფლების თავმოყრა საშიშია საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის. არიან ადამიანები, რომლებსაც სტალინის დაბრუნების იმედი აქვთ. ჩვენ ვფიდობთ გორბაჩოვს, მაგრამ ვინ შეიძლება იყოს დარწმუნებული, რომ წლების შემდეგ ხელისუფლებას სათავეში არ ჩაუდგება ის, ვინც სსრ კავშირში ცარისტული ყაიდის სოციალიზმი შექმნა?

არსებობს იმის საშიშროება, თქვა შემდეგ მოლდაველმა მწერალმა, რომ გარდაქმნას გაგუდავს პრეზიდენტობა. პრეზიდენტი უნდა იყოს ზეპარტიული, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მრავალპარტიული სისტემის პირობებში. არ შეიძლება ლაპარაკი ძლიერ ცენტრზე ძლიერი რესპუბლიკების გარეშე, ამიტომ ჩვენ ბრალი ეუფლება პრეზიდენტის საბჭოს შექმნას. ქვეყანას უნდა უხელმძღვანელოს ამ საბჭომ, და არა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. ჩვენ ვიზიარებთ შეშფოთებას, რომ პრეზიდენტის მმართველობა, არსებითად, თანასწორ რესპუბლიკათა კავშირს ტოტალიტარულ სახელმწიფოდ ჩადააქცევს. ყრილობას უფლება არა აქვს მიიღოს ესოდენ შორს გამიზნული რეფორმები, თუ წინასწარ არ შეიტყო მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების აზრი.

ორატორმა დაასახელა ზოგიერთი პირობა, რომლებიც, მისი აზრით, წინ უნდა უძღოდეს პრეზიდენტის მმართველობის შემოღებას. პრეზიდენტის მმართველობის შემოღებამ არ უნდა შეცვალოს ფედერაციულ სფეროებულ სახელმწიფოს შექმნის ამოცანა, თქვა ორატორმა. იგი უნდა გახდეს საერთო-საკავშირო სახლის რეალური შექმნის სტიმული.

ჩამოაყალიბა რა თავისი მოტივები ყრილობაზე ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის მხარდასაჭერად დეპუტატმა **კ. მაჩკამოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს აქტი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც ქვეყანაში მკვიდრდება.

ორატორმა გამოხატა გაოცება პრესაში, ტელევიზიით და ყრილობაზე ქვეყანაში ზოგიერთი პოპულარული ამხანაგის თვალსაზრისის გამო, რომლებიც ილაშქრებენ პრეზიდენტის ხელისუფლების შემოღების წინააღმდეგ. ზოგიერთი მათი არგუმენტი, თქვა მან, აღშფოთებას იწვევს როგორც ქვეყნისათვის კრიზისულ მომენტში ეგოისტური პოლიტიკური ამბიციების ტიპური გამოვლინებანი.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეს დღეები სოფლად

ცუდი მემკვიდრეობის შედეგები

ყვარლის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ცუდი მუშაობით, როგორც მოსალოდნელი იყო, მარტო ჩვენი საცხოვრებელი მიწები როდი განიავდა. ნეგატიურმა მოვლენებმა ყოველდღიური ცხოვრების ათას სფეროში თუ წვრილმანში გაიყინა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის გამო ყვარლელებმა ცუდი მემკვიდრეობა მიიღეს. ეს თვალნათლივ ჩანს რაიონის ეკონომიკაში, თუნდაც მეცხოველეობაში. ამდენად ყვარლის რაიონის თავკაცებს, ყოველ მშრომელს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ ჯერ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხოლო შემდგომში მოწინავეთა პოზიციებზე გასასვლელად.

ყვარლის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დღეისათვის 5048 სული მსხვილფეხა პირუტყვი ყავთ. მათ შორის ფური 38 პროცენტს არ აღემატება. ამ ციფრშია ჩაღებული სწორედ მცირე პროდუქტიულობის მიზეზი. სჯობდა მთლიან ჯოგში სანახეროდ მაინც ყოლოდათ ფურები.

ერთობ მცირეა თითოეულ ფურის საშუალო წველადობაც. 1726 კილოგრამი სამომავლოდ ვერაფერ იმედს ვერ გვაძლევს. თუ მთელი წლის პროდუქტიულობას ვიკითხავთ, რა თქმა უნდა, აქაც „შესაფერისი“ მდგომარეობაა. შარშან 3655 ტონა რძის ნაცვლად მხოლოდ 2828 ტონა აწარმოვეს. ეს კი ისედაც მოკრძალებული გეგმის მხოლოდ 77 პროცენტია. ყვარელლმა მეცხოველეებმა შარშან ქვეყანას დააკლეს აგრეთვე 335 ტონა ხორცი. ამ სურათის შემდეგ სავსებით ბუნებრივად მოჩანს რძისა და ხორცის გაძვირების არასახარბიელო ვითარება.

თუ წლევანდელი ორი თვით ვიმსჯელებთ, ყვარელელმა ვერც შარშანდელი დონე შეინარჩუნეს. იანვრის პირველი დეკადა: ფერმებში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 ტონით ნაკლები რძე ჩამოწველეს. მეორე დეკადა: შარშანდელთან შედარებით ქვეყანას კიდევ 10 ტონა რძე დააკლეს. ეს მარტივი მათემატიკა გვეუბნება, რომ ყოველდღე თითო ტონა რძეს ვკარგავთ. საინტერესოა სადამდე ავა ეს უარყოფითი მაჩვენებელი? აგრისამრეწველო გაერთიანებაში გვითხრეს, რომ გაზაფხულზე, როცა საკვები საკმარისი იქნება, მდგომარეობა გამოსწორდებაო. ჯერ ერთი, რომ ეს ვერაფერი ნუგეშია. მეორეც ვეკითხთ, რომ ზამთრისდროინდელ დიდ დანაკლისს გაზაფხულ-ზაფხულში გადაფარავენ.

...მეცხოველეობის გამოზამთრებისათვის მზადება ყველგან საკვებით იწყება. გვახსოვს, რომ ყვარელი მეცხოველეები ცდილობენ შრომისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები დანერგონ. ოღონდ ეგ არის, მათი მცდელობა ზოგან იღებს სასურველ შედეგს, ზოგან — ვერა. ამ საქმის შეფერხების თავი და თავი მიზეზი კი ის არის, რომ როცა ყვარელში იჯარის დანერგვა დაიწყეს, ისეთი ტენდენცია გამოიკვეთა: მეცხოველეობაში ცალკე ინერგებოდა იჯარა, საკვებწარმოებაში — ცალკე. მერე საკვები მოიჯარე მეცხოველეებს საგგმო თვითღირებულებით მიეყიდებოდა ხოლმე. ამიტომ საკვებმომპოვებელები თავისი ნახელავის ხარისხს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ.

ყვარელი მეცხოველეები ამბობენ, ეს ფერმა ყოველთვის ზარალიანი იყო (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ბათო რაჯებაშვილი). შარშანწინაც 110 ათასი მანეთით იზარალეს. მას შემდეგ, რაც მშრომელებმა ფერმა იჯარით აიღეს, სურათი შეიცვალა. შარშან ცოტა დაკლდათ რძის წარმოების შესრულებაში. ხორცი კი გათვალისწინებულზე მეტი აწარმოვეს. პროდუქცია გაიაფეს. დღეისათვის გვაზელებმა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მეტი რძე ჩამოწველეს. თავად მშრომელები ამბობენ, ეს ციფრებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბალღოჯიანელებს თავი ქუდში აქვთ, მაგრამ საქმე სულაც არ არის ასე და აქაურები ერთი დაუძლეველი პრობლემის წინაშე დგანან. ბალღოჯიანის კომპლექსი 1978 წელს შეიქმნა ექსპლოატაციაში. დღეს აქ 1000 სული მსხვილფეხას უყლიან. მათ შორის 600 სული ძროხა ყავთ. ფურების სულადობა მთლიან ჯოგში 60 პროცენტია და ეს ძალიანაც კარგია. მაგრამ რძისა და ხორცის წარმოება მაინც საგეგმიზე ძვირია. მიზეზი ის გახლავთ, რომ ძვირი უჯდებათ საკვები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამ უზარმაზარ კომპლექსს 913 ჰექტარი სახნავ-სათესი აქვს, არადა, სულ ცოტა 1200 ჰექტარი სჭირდებათ. თანაც ეს ფართობები ყველგან არ იჩრყვება.

როგორ გესახებათ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? — ვკითხეთ ყვარლის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ანგი გავაშელიშვილსა და რაიონის მთავარ ზოოტექნიკოსს ვალერიან დენტოშვილს.

— ყვარლის რაიონის მეცხოველეობის აღმავლობისათვის აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია საკონლის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება — გვითხრეს მათ. — პირველ ყოვლისა ეს უნდა გავაკეთოთ ბალღოჯიანში, შილდაში, საბუეში... რა თქმა უნდა, ამას შესაფერისი თანხები სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, არ გაგვახნია. ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობების ერთი ნაწილი უსახსრობის გამო მოხსნილია დაფინანსებიდან, ეს მათ თავისთავად უიმედო მდგომარეობაში აყენებს. ხოლო გამოსავალს ვხედავთ იმაში, რომ მიწა გლეხს მაღე დავუბრუნოთ.

ჯემალ ქურხული,
ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

არჩევნების ავ-კარგი

გათანაბრება ჩამოქვეითების ნიშნით?

საინფორმაციო არზების მეშვეობით თითქმის ყოველდღე ისმის, რომ დეპუტატობის კანდიდატები თანასწორი უფლებით ონლაინ მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში მათი დასახელების მომენტიდან“. ამ მუხლში ჩაწერილი „თანასწორი უფლებით მონაწილეობენ“ იმას როდი ნიშნავს, რომ დეპუტატობის კანდიდატები ტოლი ოდენობით შეხვდნენ ამომრჩევლებს, ტოლი დროით ისარგებლონ სიტყვის წარმოთქმისას, ეროვნაირი მოცულობის პროგრამა გამოაქვეყნონ, ერთი თუ გამოვა პრესაში ან ტელევიზიით, მეორეც აუცილებლად უნდა გამოეყვანოთ (ხოლო თუ ერთ კანდიდატს არ სურს ან არ შეუძლია, ამ მხრივ მისი მოწინააღმდეგეც შეეგზეუდოთ) და სხვა.

კანონში ხაზგასმულია მხოლოდ ის, რომ არავის არა აქვს უფლება შეზღუდოს დეპუტატობის კანდიდატი იმაში, რის უფლებასაც მას კანონი აძლევს. უფრო მეტიც, ყველა დეპუტატს ერთნაირად შეუძლია ისარგებლოს კანონით მინიჭებული ყველა უფლებით. ესაა და ეს. გარკვეული დროით პრესაში და ტელევიზიაში გამოსვლის აკრძალვით, არამარტო საარჩევნო კანონის სათანადო მუხლის მოთხოვნა ირღვევა, არამედ სამოქალაქო სიკეთდლის განაჩენი იქნება გამოტანილი შემმოქმედებითი მეცხოვრეობის მქონე ადამიანის მიმართ. და ეს კეთდება იმ მიზეზით, რომ იგი დეპუტატობის კანდიდატია. ასეთი განაჩენი ყველაზე რეაქციულ სასამართლოსაც არ გამოუტანია არასდროს მსოფლიო მასშტაბით.

გიმეორებთ, ბოლოს და ბოლოს, კანონის გაუკუღმართები ხდება იმიტომ, რომ ღირსეული დეპუტატობის კანდიდატი უნდა ჩამოვაქვეითოთ უღირსი დეპუტატობის კანდიდატის დონემდე. მაგალითად, რომელიმე დეპუტატობის კანდიდატს დღეს კი არა მთელი ცხოვრების განმავლობაში ფიქრადაც არ მოსვლია ეროვნული, საზოგადო საქმის კეთება. მისთვის მომგებიანიცაა მკაცრად განსაზღვრული რეგლამენტი („რა ქნას, არ აძლევენ თქმის საშუალებას“). ასეთი წესის დაცვით მან გარკვეულწილად უკვე გაიმარჯვა კიდეც შესაძლო ღირსეულ მეტოქეზე.

სხვა მაგალითიც. გაიცა მითითება, რომ „დეპუტატობის კანდიდატთა ტოლ უფლებებში“ ნაგულისხმევი მიზნით გარკვეული რაოდენობით დაიბეჭდოს მათი წინასაარჩევნო პროგრამები. ამ გზითაც უხეშად ირღვევა იმ დეპუტატობის კანდიდატის უფლებები, რომელიც საარჩევნო ოლქის მკვიდრი მცხოვრები არაა, ჯეროვნად არ იცნობენ ამომრჩევლები და, რაც მთავარია, ეზო-ეზო სიარული არ შეუძლია. მაშ რა გზით მიაწვდიონოს მან ხმა ამომრჩევლებს?

ძნელი მისახვედრი არაა, თუ ვის მხარდასაჭერად კეთდება ყოველივე ეს. საარჩევნო კამპანიის პერიოდში პრესა პასიური კი არა, აქტიური პოზიციაზე უნდა დადგეს. ძის ფურცლებზე ღირსეულნი უნდა წარმოჩინდნენ და ღირსნი დაიგმონ.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ყველა ამომრჩეველს: თქვენ დიდი, მართლაც რომ ისტორიული პასუხისმგებლობის წინაშე დგახართ, როგორც მრავალტანჯული სამშობლოს, ისე საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების, მომავლის წინაშე. აღნიშნულის შეგნებამ უკარი უნდა გამოქმედინოთ ყოველგვარ ცდუნებაზე (ნაცნობ-მეგობრობა, პირადი სიკეთის მიღება და სხვა), და ცივი გონებით ხმა მისცეთ ისეთ დეპუტატობის კანდიდატს, რომელთაც ხელეწიფებათ სამშობლოს უანგარო სამსახური.

მიხეილ კეკელია.
პროფესორი.

...და მაინც, სუვერენიტეტი

გაფართოვდება და გამყარდება

ქვეყანაში პრეზიდენტის მმართველობის დამკვიდრებისადმი დამოკიდებულება ყრილობათა სასახლის ფოიეში ავრძნობა. აქ მაგიდებზე, ოფიციალური მასალების გარდა, ნახავთ ე. წ. არაფორმალური ორგანიზაციების გაზეთებსა და ჟურნალებს, მიმართვებსა და რეზოლუციებს, დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს. იქვეა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის 9 მარტის დადგენილებაც, რომელსაც დიდი ინტერესით ეცნობიან ყრილობის მონაწილენი. ამ დადგენილების გაგრძელება გახლდათ ყრილობაზე გივი გუმბარიძის გამოსვლა.

შესვენების დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვიდამ მედვედევს ვთხოვე გამოეთქვა თავისი მოსაზრება გ. გუმბარიძის გამოსვლასთან დაკავშირებით.

— დღეს ყველა რესპუბლიკას დამოუკიდებლობა სწადია, თქვა მან, — თითოეულს სურს თვითონვე განაგებდეს საკუთარ თავს და თავის ბედს, არც საქართველოა გამონაკლისი. სრულიად კანონიერად მიმაჩნია ქართველი დეპუტატების პრეტენზიები ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის მმართველობის კანონპროექტისადმი და ისინი ანგარიშგასაწევია. კანონპროექტში არის შეუსაბამობები, რომლებიც გასწორებას ითხოვს.

როგორია ქართველი დეპუტატების დამოკიდებულება პრეზიდენტის პოსტის შემოღებისადმი?

ხულანი ცინცაძე: ბევრი ვინ-ერვიულეთ. იმის მიუხედავად, რომ თბილისში მტკიცედ მჭონდა გადაწყვეტილი არ მიმეღო მონაწილეობა პრეზიდენტის მმართველობის განხილვაში, მოსკოვში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ იძულებული გავხდი აზრი შემეცვალა. მე ხმა მივეცი პრეზიდენტის მმართველობას.

რატომ?

როცა გივი გუმბარიძეს ყრილობის სამდივნოს გადასცა ქართველი დეპუტატების ხელმოწერილი პრეტენზიები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებიდან გამომდინარე, მეორე ღღეს ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა — ჩვენი პრეტენზიები ახალ კანონპროექტში უკვე შეტანილი იყო. პირველ პუნქტშივე ვკითხულობთ, რომ პრეზიდენტი არის რესპუბლიკების სუვერენიტეტის გარანტი. აგრეთვე — რესპუბლიკებს უფლება აქვთ აირჩიონ თავიანთი პრეზიდენტი; ტერიტორიის ხელშეუხებლობა შეუფასელია. ასევე საინტერესოა 127-ე მუხლის მე-15 პუნქტი, რომელიც პრივილეგიებს გვანიჭებს რესპუბლიკებს. უახლოეს დღეებში კანონი პრესაში დაიბეჭდება და მკითხველები მას გეცნობიან. ამას გარდა, მოსკოვში ძალზე დაძაბული სიტუაცია სუფევდა. საკითხი ასე იდგა — თუ პრეზიდენტის ინსტიტუტი არ დამტკიცდებოდა, მოსალოდნელი იყო მდგომარეობის გართულება. ჩვენზე ძალიან იმოქმედა აგრეთვე მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრამ. იგი ქართველ დეპუტატებთან ისე მოვიდა, როგორც ახლობელი. თბილად მოგვეკითხა, გვითხრა, ნუ სწუხართ, „ყველაფერი მოგვარდება, ალმშვიდდითო.

ბუხრამ მგელაძე: მე პრეზიდენტის პოსტის შემოღების წინააღმდეგ მივეცი ხმა. აკი თბილისშივე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დადგენილებისადმი მხარდაჭერით უარყოფი პრეზიდენტის პოსტის შემოღება, ბუნებრივია, მოსკოვში მას ვერ გადავიქცევდი. მაგრამ, როცა ხშირის უმრავლესობით ყრილობამ პრეზიდენტის მმართველობა დაამტკიცა და პრეზიდენტობის კანდიდატ-ად ალტერნატიულ პირობებში მიხეილ გორბაჩოვი წამოაყენა, რაკი მისი პიროვნების მიმართ არავითარი პრეტენზია არა მაქვს, რა თქმა უნდა, ხდობას გამოვუცხადებ. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე ნერვიული სიტუაცია შეიქმნა საქართველოს დეპუტატებში, რადგან თბილისში უკვე ერთხმად გადაწყვეტილი საკითხი მოსკოვში სხვაგვარად გადასაწყვეტი შეგვექმნა, ბუნებრივია, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით. სხვა დროს, ალბათ, მეტი დფიქრება გვმართებს. როცა დიდი ეროვნული საქმე წყდება, განსაკუთრებული სიზუსტე და სიღინჯეა საჭირო, რომ იტყვიან, ასჯერ უნდა გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ.

ელდარ შენგელაია: მე მონაწილეობა არ მივიღე ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების პროცესში, მაგრამ ამ პოსტზე მ. ს. გორბაჩოვის არჩევას ალბათ მხარს დავუჭერ.

პრეზიდენტის მმართველობაზე კი უარი ვთქვი იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც გურამ მგელაძემ — არ შემეძლია მოსკოვში უარვყო ის, რაზეც თბილისში თანახმა ვიყავი. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ მოხდა ძალზე მოულოდნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიის გაღრმავების გზით

(დასასრული)

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ილპარაკა რა იმაზე, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად ჩაებას ხელისუფლების უმაღლესი რგოლი გარდაქმნის მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციის პროცესში, განაცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა კვლავაც დაქანდება, და ამით შეიძლება მოხერხებულად ისარგებლონ დესტრუქციულმა ძალებმა, რომლებიც ქვეყანაში პროვოკაციულად იწვევენ დუშანბის დრამატული მოვლენების მსგავს არეულობებს. დეპუტატის აზრით, მათი აქციების სცენარები ყველგან იმდენად ერთნაირია, რომ დასკვნა თავისთავად ცხადია: მათ წარმართავს ერთი და იგივე ხელი. ამასვე მოწმობს პრეზიდენტის ხელისუფლების შემოღების წინააღმდეგ აბ ბოლო დღეებში გამართული უამრავი მიტინგი. სურათი ნაცნობი იყო: გამოუცდელი და ემოციური ახალგაზრდების ზურგს უკან აქაც იმალებოდა იგივე სახეები — ნაციონალისტური, კორუფციერებული ელემენტები, ფარული იკონომიკის მეფეები, პოლიტიკური ავანტიურისტები, რომლებიც ესწრაფვიან ძალაუფლებას.

დეპუტატმა **ი. ვ. ბლოხინმა,** რომელიც გამოვიდა დეპუტატთა ჯგუფის „სოიუზის" სახელით, აღნიშნა, რომ შეუძლებელია გულდამშვიდებით ადევნებდე თვალყურს ტენდენციებს ლიტვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაში. ერის პრიორიტეტის პრინციპი ჩრდ ში მოეკეცა, უუფლებო ხდება სსრ კავშირის ასიათასობით მოქალაქე ამ რესპუბლიკაში, თქვა მან. ამასთან დაკავშირებით „სოიუზი" სახალხო დეპუტატთა ყრილობას მიმართავს განცხადებით. მასში ნათქვამია, რომ საჭიროა ლიტვის სსრ რესპუბლიკაში სიტუაციის საკითხი შეტანილ იქნეს ამ ყრილობის დღის წესრიგში, დაუყოვნებლივ მიეღოთ ყრილობაზე კანონი სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ, უზრუნველყოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მიმდინარე ამბების ობიექტური და სრული გაშუქება.

ორატორმა დამსწრეთ გააცნო დეპუტატთა ჯგუფის აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოვიღოთ პრეზიდენტის მმართველობა და ავარჩიოთ პრეზიდენტი მესამე ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა დღევანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების ვადით. მან შემოიტანა აგრეთვე პრეზიდენტობის ინსტიტუტთან დაკავშირებული რამდენიმე წინადადება.

„სოიუზის" ჯგუფის სახელით მისმა წარმომადგენელმა დაასახელა პრეზიდენტის პოსტის კანდიდატები (ანბანით): ვ. ვ. ბაკატინი მ. ს. გორბაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი.

ბოლო დღეებში, თქვა დეპუტატმა **ი. კ. პოლოზკოვმა,** არაერთი გულახდილი საუბარი გვქონდა ამომრჩევლებთან. ლაპარაკი იყო ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაზე, ქვეყნის მდგომარეობაზე. ხალხი მოითხოვს მეტ პასუხისმგებლობასა და უფრო კონკრეტულ პრაქტიკულ მოქმედებას, სწორედ ეს კი გვაკლია ახლა.

მიმდინარეობს კანონმდებლობის განახლება, კანონები კი არ მოქმედებს. ზოგი იმიტომ, რომ საფუძვლიანად არ არის დამუშავებული, ზოგიც იმიტომ, რომ ძალაში არ შედის, რადგან არ არსებობს სათანადო შეკანონება. ხოლო, თუ ეს მექანიზმი არ იქნება და მოქალაქენი პატივისცემით არ მოეკიდებიან მათ, ყველაზე სრულყოფილი კანონმდებლობაც კი ვერ მოგვიტანს მოსალოდნელ შედეგებს.

პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა გამოთქვა აზრი, რომ უკვე ახლა, ამ ყრილობაზე, უნდა ავარჩიოთ ქვეყნის პრეზიდენტი. დრო გვაჩქარებს: საზოგადოებას სჭირდება წესრიგი, ხალხი კარგავს იმის რწმენას, რომ შესაძლებელია ცვლილებები უკეთესობისაკენ, კავშირის შენარჩუნება. რაც შეეხება პრეზიდენტის ძალაუფლების ნორმატივების შემუშავებას, ორატორის აზრით, ამჟამად ძნელია მათი დეტალურად დამუშავება.

ქვეყანაში პრეზიდენტის პოსტის დაწესებას დეპუტატი უკავშირებს აგრეთვე რუსეთისა და რუსების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ყოველი ერისა და ხალხის ინტერესების სამართლიანი დაცვის იმედებს.

დეპუტატმა **ი. ნ. კოუედუბამ** ფრონტელი ვეტერანების სახელით მხარი დაუჭირა მართვა-გამგეობის საპრეზიდენტო ფორმის შემოღების იდეას, ამასთან დაკავშირებულ იმ ორატორების აზრს, რომლებიც ვერ ხედავენ მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურის ალტერნატივას.

ორატორმა წაიკითხა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45-ე წლისთავის წინ გამართული საბჭოთა კავშირის გმირებისა და ლენინის ორდენის სრული კავალრების შეხვედრის მონაწილეთა მიმართვა ყრილობისადმი. მიმართვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ წელს გამარჯვების 45-ე წლისთავის დღესასწაულს ქვეყანა რთულ ვითარებაში ხვდება. „ჩვენ — ფრონტელებს არაერთხელ შეგვიხედავს სიკვდილისთვის თვალებში და ვიმარჯვებდით იმიტომ, რომ ვეყრდნობით ჩვენი საამშობლოს გმირულ წარსულსა და აწმყოს, — ნათქვამია დოკუმენტში. — ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას სიძნელეთა დაძლევაში და მხარი დაუჭიროთ მათ, ყველაზე ძლიერ ეშინიათ ექსტრემისტული ანტისაბჭოთა ძალების ცდები გათიშონ ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობა, ხელოვნურად ჩამოაგდონ შუღლი ხალხთა შორის, მოშალონ სოციალისტური მონაპოვრები, შექმნან ქაოსი ქვეყანაში, შეარყიონ ნდობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, დაანგრიონ საბჭოთა წყობილების საფუძვლები. ჩვენთვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ უწესრიგობანი, მძაფრაცველობა, შუა აზიასა და ამერკავკასიაში საბჭოთა მოქალაქეების რბევა და მკვლელობანი ორგანიზებული და დროის მიხედვით შეთანხმებული აქციებია, რომელთა მიღმა დგანან გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სურთ ხელთ იგდონ ძალაუფლება.

მიმართვა შეიცავს მოთხოვნას საბჭოთა მთავრობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართ იმის თაობაზე, რომ „ალაგმონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც ჩირქს სცხებენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების პატიოსნებასა და ღირსებას".

დიდი სამამულო ომის მძიმე წლები გაიხსენა დეპუტატმა **ი. ვ. დრუნინამაც.** ახლა, თქვა მან, უფრო შეშფოთებული ვარ, ვიდრე მაშინ, რადგან ხალხმა დაკარგა რწმენა, დაიღალა.

„უეჭველია, პრეზიდენტი უნდა გახდეს კაცი, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყენოს ქვეყანა შტაპორიდან, რომელიც, ვაი რომ, ჩქარდება. ასეთ კაცად დეპუტატმა დაასახელა მ. ს. გორბაჩოვი. სწორედ მიხეილ სერგის ძეს გვაგონებინა თავისუფლების გემო და, გულახდილად რომ ვთქვათ, ფეხზე წამოგვაყენა. არ უნდა დავივიწყოთ, ვინ შეანელა მსოფლიოში დაძაბულობა, ვინ შეამცირა მინიმუმამდე ბირთვული ომის საფრთხე.

ჩვენ დასავლეთის დემოკრატიული ძალების თვალში აღარა ვართ „რუსული დათვი", რომელიც ატომურ ბომბს იქნევს შიშით შემყურე ჯენტლმენების წრეში. ჩემი აზრით, თქვა ორატორმა, თუ გორბაჩოვს არ ავირჩევთ, ცივილიზებული სამყარო ამას საბჭოთა კავშირში დემოკრატიული ძალების დამარცხებად, კონფრონტაციისაკენ დაბრუნებად მიიჩნევს. თვით ჩვენთვის არის საეჭვო, რომ მხარი დავუჭიროთ მას სსრ კავშირის ისტორიის ალბათ ყველაზე რთულ მომენტში და ამით მხარი დავუჭიროთ საკუთარ თავს.

დეპუტატი **ს. მ. ხაჯიევი** შეეხო პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში ავტონომიათა მდგომარეობას. მისი აზრით, ავტონომიური რესპუბლიკების ხალხები მოკლებული არიან თავიანთი უფლებების დაცვას. მან მაგალითისათვის ასეთი ფაქტი მოიყვანა. ყრილობაზე სიტყვას ამბობდა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იმ დროს, როცა ჩეჩნეთ-ინგუშეთში 70 ათასი ინგუში მოითხოვდა თავისი ავტონომიის აღდგენას. მაგრამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს სიტყვა არ დასცდენია ხალხის მოთხოვნებზე.

ავტონომიური რესპუბლიკის ამბებთან დაკავშირებით დეპუტატმა ასეთი ვარაუდი გამოთქვა: ქვეყანა ყოველი ყრილობისათვის იღებს ეროვნებათშორისი დაძაბულობის მორიგ კერას იმიტომ, რომ ვიღაც გააზრებულად მოქმედებს ნევროზული ვითარების შესაქმნელად. მაგრამ ამ შემთხვევაში წამქეზებელი შეცდნენ. ინგუშ ხალხს კარგად ესმის, რომ მხოლოდ უკონსტიტუციურ-კომპრომისიებისა და მოლაპარაკების გზით გამონახავს იგი საერთო ენას მოძმე ხალხთან, როგორც აქამდე ათასწლეულების მანძილზე ნახულობდა მას. ორატორის წინადადებაა მოლაპარაკების დაწყებამდე შეიქმნას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან უზენაესი საბჭოს ობიექტური კომისია.

